თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

არ გადაიხადო ერთი ლარი! — სადეზინფექციო აფიორა ქუთაისში

იხილეთ მე-2 გვერდზე

№10 (698) 7 - 13 აპრილი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი
PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

„მოხეტიალე წიგნების“ ეპიდემია ქუთაისშიც ვრცელდება!...

იხილეთ მე-3 გვერდზე

პრეზიდენტი, ბოკერია, წიკლაური, თათუხაშვილის საქმე და სხვა

გასული კვირა საკმაოდ დინამიური იყო და ლომის წილი ამ დინამიურობაში ყოფილ ხელისუფლებასა და მთავარ პროკურატურას მიუძღვის. რეზონანსით ნუგზარ წიკლაურის ცემამ და შალვა თათუხაშვილის საქმემ ყველა ფაქტი გადაფარა, მათ შორის პრეზიდენტის პირველი ევროპული ვიზიტი. კვირის ბოლო კი უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის გიგა ბოკერიას დაბარებით დასრულდა.

„სანამ ხელისუფლება ამ საქმეს გახსნის, ის არის მთავარი ეჭვმიტანილი ამ საქმეში...“

გასული კვირა საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი წევრის ნუგზარ წიკლაურის ცემით დაიწყო. დეპუტატმა მასზე განხორციელებულ თავდასხმაში მაშინვე ხელისუფლება დაადანაშაულა და მისი ცემის ფაქტი შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების საკითხზე გაკეთებულ განცხადებებს დაუკავშირა.

„მე დავასახელე ორი ადამიანი, რომლებიც ამ წამებაში მონაწილეობდნენ და ეს ინფორმაცია მქონდა ოჯახის წევრების მხრიდან. ეს ადამიანები იყვნენ პროკურატურის წარმომადგენლები – ძნელაშვილი და გურგენ გილაური. მე ვფიქრობ, ამ გვარების დასახელებამ გადააწყვეტინა ხელისუფლებას, ასეთი თავდასხმა მოეწყო ჩემზე... ყველასათვის ცხადია, რომ თათუხაშვილის სიკვდილამდე მიყვანის საქმე იქნება ცენტრალური საქმე უახლოესი თვეების და შეიძლება, უფრო მეტი ხნის განმავლობაშიც...

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ეროვნული მოძრაობის ავანგარდში

იხილეთ მე-4 გვერდზე

გოგონათა გასხვისება ცხოველების სანაცვლოდ — 16 წლის გოგო 45 წლის კაცზე 10 ძროხად გაათხოვეს

იხილეთ მე-7 გვერდზე

როგორ ექცევიან პაციენტებს „ჩემი ოჯახის კლინიკის“ ქუთაისის რეგიონულ საავადმყოფოში

რატომ არ მოსწონთ საყოველთაო დაზღვევა?

იხილეთ მე-7 გვერდზე

გამოცხადებული ტენდერების რაოდენობით ქუთაისის მერია პირველ ადგილზეა

იხილეთ მე-3 გვერდზე

საქართველოს მოქალაქეები ევროპაში უვიზოდ 2016 წლიდან იმოგზაურებენ

იხილეთ მე-5 გვერდზე

ქუთაისს ახალი ცენტრალური შემოსასვლელი ექნება

იხილეთ მე-5 გვერდზე

სკოლის დღიური

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, საავტო ცენტრი „პოპული“. წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge
ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 8
კროსვორდი — გვ. 8

პრეზიდენტი, ბოკერია, წიკლაური, თათუხაშვილის საქმე და სხვა

პირველი გვერდიდან



მე ვფიქრობ, რომ როდესაც პარლამენტის წევრმა ღიად დაიწყო საუბარი იმაზე, რომ თათუხაშვილის სიკვდილი დადგა პროკურატურის ქმედებების შედეგად, მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ უკვე დროა ასეთი პარლამენტის წევრი იყოს გაჩუმებული და რაკიღა სხვა ვერანაირი საშუალება ვერ მოძებნეს, კორუფციული ბრალდება ვერ წამოაყენეს, ვერ წამოაყენეს სხვა ისეთი ბრალდება, რომელიც წარსულში ჩემს რაიმე ტიპის დანაშაულებას გამოხატავდა, მიიღეს ყველაზე პრიმიტიული, მარტივი, მაგრამ ამავე დროს სასტიკი გადაწყვეტილება, რომ სპეციალური რაზმი დაეხვედრებინათ ჩემთან სახლში და ასე გამსწორებოდნენ, რათა შემდგომში მცოდნოდა, რომ სიმართლის ლაპარაკს შეიძლება მოსდევდეს ჯანმრთელობის დაზიანება და შეიძლება, სიცოცხლის დათმობაც კი," — განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ეთერში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტზე ძიება ოფიციალურად დაიწყო და ეს საქმე პირად კონტროლზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც აიყვანა. თუმცა, ჯერჯერობით, დამნაშავეები გამოვლენილნი არ არიან. მანამდე კი, ყოფილი ხელისუფლების მომხრეები მთავარ ეჭვმიტანილად ახალ ხელისუფლებას მიიჩნევენ.

„ამ წუთისთვის ცალსახად ვერ ვიტყვით, ვინ სცემა ნუგზარ წიკლაური. სანამ ხელისუფლება ამ საქმეს გახსნის, ის არის მთავარი ეჭვმიტანილი ამ საქმეში. თუ მან ეს საქმე საკმაოდ სწრაფად ვერ გახსნა (თანაც ისე, რომ მისი ვერსია საზოგადოების რაციონალურად მოაზროვნე ნაწილისთვის დამაჯერებელი იყოს), ლეგიტიმურად ჩავთვლით, რომ ეს ცემა მისი ორგანიზებული იყო. ისტორიული პარალელი: ვალერი გელაშვილის ცემა ერთ-ერთი ყველაზე ბნელი ლაქაა „ნაციონალური მოძრაობის" რეპუტაციაზე. მაგრამ ჩვენ მას ასეთად ვთვლით იმიტომ, რომ ეს საქმე გაუხსნელი დარჩა, თორემ ცემის მეორე დღეს ფორმალურად არავითარი უფლება არ გვქონდა, ეს საზიზღრობა მათთვის დაგვებრალებინა" — წერს სოციალური ქსელის Facebook-ის საკუთარ გვერდზე ყოფილი განათლების მინისტრი, პოლიტოლოგი გია ნოდია.

ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ წიკლაურის ცემა მის ინტერესებში არ შედიოდა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზურაბ აბაშიძე „პირველ პრესკლუბში" უმცირესობის დეპუტატის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მსგავსი ქმედებები ახალი ხელისუფლების ინტერესებში არ შედის.

„ჩემთვის ყოველგვარი ძალადობა მიუღებელია. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოძიება ინტენსიურად და საკმაოდ მოკლე ვადებში ჩატარდეს, გამოვლინდნენ დამნაშავეები, რომლებმაც ეს ჩაიდინეს, გაირკვეს ყველაფერი ამ საქმესთან დაკავშირებით – იყო თუ არა ეს პროვოცირებული, შეიძლება თუ არა სხვა ტიპის საქმესთან ჰქონდეს კავშირი. მესმის, რომ ემოციური ფონია, მაგრამ ოპონენტებს ვურჩევ, ვარაუდებისგან თავი შეიკაონ. ვარაუდები სიკეთეს არ მოუტანს პირველ რიგში, სახელმწიფოს, რომელიც მიდის წინ. სახელმწიფოს ნამდვილად არ ჭირდება ისეთი ფაქტები, როგორიც დღეს მოხდა, მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ჩვენ ყველანაირ ძალადობაზე, რომელიც ხდებოდა ქვეყანაში წლების განმავლობაში, უარი ვთქვით," — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

შალვა თათუხაშვილის საქმე — „ახალი ხელისუფლების გირგვლიანი?!"

გასულ კვირაში მთავარმა პროკურატურამ შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების საქმეზე დაწყებული გამოძიების მასალები გაასაჯაროვა. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აქტიურ ღონისძიებათა სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე შალვა თათუხაშვილი 2014 წლის 24 თებერვალს თბილისის პროკურატურაში ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე მოწმის სახით დაკითხეს. ოჯახის მტკიცებით, მძიმედ დაავადებული შალვა თათუხაშვილი გატაცებული ჰყავდათ რამდენიმე დღის განმავლობაში და მასზე ფიზიკურ-ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა. როგორც პროკურატურაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე აღინიშნა, დეტალების გასაჯაროება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყდა.

„აღნიშნულ საქმეზე ბოლო პერიოდში პროკურატურის მისამართით მედიასაშუალებებში ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, ცილისმწამებლური განცხადებები კეთდება ბრალდებული ახალაიების ოჯახის წევრებისა და „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების მხრიდან. ყოფილი ხელისუფლება მოტივირებულია ერთადერთი მიზნით, რომ ნებისმიერი გზებით და მეთოდებით მოახდინოს პროკურატურის დისკრედიტაცია, საზოგადოება შეიყვანოს შეცდომაში და დაეხმაროს ბრალდებულ ბაჩანა და დათა ახალაიებს, რათა გამართლებული იყვნენ წარდგენილ ბრალდებებში" — განაცხადეს მთავარ საგამოძიებო უწყებაში.

პროკურატურის ინფორმაციით, შალვა თათუხაშვილმა მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩართვა მოითხოვა, თუმცა შემდეგ დაცვას გაექცა და ამით მან, ფაქტობრივად, ნებაყოფლობით უარი თქვა დაცვაზე. იმის დასამტკიცებლად, რომ მოწმეზე გამოძიების დროს ზეწოლა არ მიმდინარეობდა, პროკურატურამ, სხვა მასალებთან ერთად, ვიდეოკადრებიც გაასაჯაროა. შალვა თათუხაშვილის საქმეზე მოსმენა გაიმართა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში, რომელიც დეპუტატებს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამ მოვლენებს გამოეხმაურა გარდაცვლილის ოჯახი.

„ველოდებოდი და ვხედავ, რომ სახელმწიფო მანქანა ღიად ჩაერთო პროკურატურის თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალის წაშლაში. მათი ეს აქტივობა მიმართულია ჩემი ოჯახის წინააღმდეგ და, რომ საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში. ეს ბრძოლა იმდენად გააფთრებულია, რომ „ადამიანთა უფლებების დამცველი" ბესელია თაფგამოდებით იცავს პროკურატურას" — განაცხადა გარდაცვლილის მამამ გენერალმა გოგი თათუხაშვილმა. ის სოციალურ ქსელში წერს, რომ პროკურატურის მიერ გასაჯაროებულ „აღიარების" კადრებში ნათლად ჩანს — შალვა, შალვა არ არის არც ფიზიკურად, არც მეტყველებით და არც სიარულის მანერით. ათეულობით ადამიანი ადასტურებდა იგივეს."

თათუხაშვილის საქმეს გამოეხმაურა წინა ხელისუფლების დროს დაღუპული ბუტა რობაქიძის მამა სოსო რობაქიძე, რომელსაც მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში პროკურატურა არაპროფესიონალურად მოიქცა, თორემ შალვა თათუხაშვილი საგამოძიებო უწყებაში არ უწამებიათ.

„მე ვფიქრობ, რომ ის ახალაიას ხალხის მიერაა მოკლული. იმაში ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ის პროკურატურა არაა, რაც ადეიშვილის დროს იყო. ისინი უფრო ახალაიასკენ უნდა გადაიხარონ" — განაცხადა რობაქიძემ „პირველის" პრესკლუბში" გამართულ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, „ამ კაცს მეტი შეფუთვა და შენახვა სჭირდებოდა ამ პერიოდის განმავლობაში ისეთ ადამიანებს ადებდა ხელს, მაგრამ პირდაპირ ვამბობ, რომ „ქართული ოცნება" სუსტი იმიტომაა, რომ „ნაციონალებმა" ყველაფერი თავიანთ სასარგებლოდ შეატრიალებს, კომიტეტის სხდომებს უწყობენ და პასუხს აგებინებენ კომიტეტის თავმჯდომარესა და პროკურატურის წარმომადგენლებსაც. ერთი კომიტეტის სხდომა თუ ჩაუტარებია „ნაციონალურ მოძრაობას" სანდრო გირგვლიანის, ან რობაქიძის საქმეზე?!"

შალვა თათუხაშვილის ოჯახის წევრებს შეხვდნენ სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) თავმჯდომარე კახა კოჟორიძე. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ სახალხო დამცველმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, მათ დეტალურად ისაუბრეს იმ გარემოებებზე, რაც წინ უძღოდა ამ ტრაგედიას. ნანუაშვილის თქმით, ის განაგრძობს საკითხის შესწავლას, რათა ჰქონდეს სრული სურათი. რაც შეეხება ოჯახის უნდობლობას გამოძიებისადმი, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თუ მოხდება საქმის კვალიფიკაციის შეცვლა და გამოძიება სხვა მუხლით დაიწყება, ისინი მზად არიან, მისცენ ჩვენება და ითანამშრომლონ გამოძიებასთან. „დღეს თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით არის საქმე აღძრული და სწორედ ამის გამო არის ოჯახი უკმაყოფილო," — აღნიშნა სახალხო დამცველმა.

საია-ს თავმჯდომარე კახა კოჟორიძე კი მიიჩნევს, რომ გამოძიება აუცილებლად გასაგრძელებელია. ამ ეტაპზე ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ გამოძიება ეფექტური იყო, თუნდაც იმის დასადგენად, სად იყო შალვა თათუხაშვილი 25 თებერვლიდან 18 მარტამდე. ამ პერიოდში რომ გამოძიება არაეფექტური იყო, „მე ვფიქრობ, აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ისინი უბრალოდ ენდნენ შალვას სიტყვებს, თუ ესეც მისი ნებით არის ნათქვამი, რომ გადავიდა ფანჯრიდან, წავიდა და იყო ტყეში. მაგრამ არავინ დაინტერესებულა კონკრეტულად ტყეში სად იყო ან ფანჯრიდან როგორ გადავიდოდა, როცა ყველა ფანჯარას გისოსები აქვს," — განაცხადა კოჟორიძემ.

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

B — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

არ გადაიხადო ერთი ლარი! — სადეზინფექციო აფიორა ქუთაისში



ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი
№ 7284009
საქონლის/მომსახურების მიმწოდებლის რეკვიზიტები:
[redacted]
(პირის დასახელება/სახელი და გვარი)
[redacted]
(პირის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)
ოჯახი ...
დამატებითი ინფორმაცია (იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, სხვა)
საქონლის/მომსახურების მიმღების რეკვიზიტები:
[redacted]
(პირის დასახელება/სახელი და გვარი)
(პირის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)
(პირის მისამართი)
(მიწოდებული საქონლის/მომსახურების შინაარსი)

რამდენიმე კვირაა, რაც ქუთაისში ე.წ. სადეზინფექციო სამსახურის „ბრიგადის" თანამშრომლები დადიან და მოსახლეობიდან, ვითომდა სადეზინფექციო მომსახურებისთვის, თანხას კრებენ.

ეს ადამიანები ოჯახში მისულ მოსახლეობას ეცნობიან, როგორც ოფიციალური სადეზინფექციო სამსახურის „ბრიგადის" წარმომადგენლები და კორპუსებში ტარაკნების და ვირთხების საწინააღმდეგო სადეზინფექციო სამუშაოს შესრულებისთვის ოჯახიდან 1 ლარს იღებენ, მეტი დამაჯერებლობისთვის კი ქვითარსაც ტოვებენ.
აღნიშნული სამსახურის წარმომადგენლებმა ერთ-ერთ ოჯახში მისვლისას აღნიშნეს, რომ მათი ოფისი ორახელაშვილის ქუჩაზე მდებარეობს. თუმცა საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ ეს ე.წ. სადეზინფექციო ფირმა ასპინძაშია დარეგისტრირებული. ამასთან, ქვითარზე მითითებულ ტელეფონის ნომერზე დაკავშირება ვერ ხერხდება.
აღნიშნულ სამსახურთან ყოველგვარ ურთიერთობას უარყოფს მერიის დასუფთავების სამსახური. როგორც მისმა უფროსმა თამაზ დეისაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ეს ჩვეულებრივი თაღლითობა და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაა. „არანაირ კავშირში ეს ფირმა მერიის დასუფთავების სამსახურთან არ არის. უფრო მეტიც, ჩვენმა სამსახურმა ამ თაღლითობის წინააღმდეგ აქტიური კამპანია დაიწყო. მივდივართ ყველა ტერიტორიულ ორგანოებში და მოსახლეობას ვაფრთხილებთ, რომ მათ მახეში არ გაებან. ადგილობრივებმა კარგად იციან, რომ ჩვენს მიერ დასუფთავების მოსაკრებლის ხელზე აღება არ ხდება. ყველა თანხა ბანკში ირიცხება, მაგრამ მათ თანხას მაინც უხდიან. ამიტომ გვინდა თქვენი საშუალებითაც კიდევ ერთხელ გავაფრთხილო მოსახლეობა, რომ ეს არის მორიგი აფიორა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ როგორც კი ამ სამსახურის წარმომადგენლებს ჰკითხავენ ვინ არიან და რეალურად რა სამსახურია, ეგრევე გარბიან, მოსახლეობა მათ დაკავებას ვერ ახერხებს," – განაცხადა თამაზ დეისაძემ.

psnews.ge-აღნიშნულ თემაზე მუშაობას აგრძელებს, ვრცელ მასალას გაზეთ „P.S."-ის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

„მოხეტიალე წიგნების“ ეპიდემია ქუთაისშიც ვრცელდება!...

„გამარჯობა, მე მოხეტიალე წიგნი ვარ, ჩემი ავტორი კარგი ქუთაისელი პოეტია!

გაზეთ „P.S.“-ის („პოსტსკრიპტუმის“) რედაქციამ სამოგზაუროდ გამომიშვა, დამიმგზავრე, წამიკითხე აუცილებლად და შემდეგ სადმე უსაფრთხო ადგილას დამტოვე, რომ სხვამაც მიპოვოს და წამიკითხოს! აუცილებლად მიაწერე ჩემი ბოლო გაჩერების ადგილი და თარიღი, რომ არ დავიკარგო. მადლობა! შეგიძლია, შენი შთაბეჭდილებები მოგვწერო ჩვენს ელ.ფოსტაზე: psnews27@gmail.com

ასევე, გაგვიზიარო სოციალურ ქსელში – გაზეთის „ფეისბუქგვერდზე“: https://www.facebook.com/PsNewspaper?ref=hl ან „მოხეტიალე წიგნების“ ფეისბუქგვერდზე https://www.facebook.com/moxetiale.cignebi?fref=ts

ასევე, გირჩევ, მიადევნე თვალი ინტერნეტში www.psnews.ge-ს, სადაც პერიოდულად გამოქვეყნდება, სად, ვისთან ერთად და როგორ დახეტიალობენ წიგნები საქართველოში. მათ შორის – ქუთაისში!





4 აპრილს ამ წარწერით გაუშვა ცირა ყურაშვილის წიგნი გაზეთმა „პოსტსკრიპტუმმა“ სახეტიალოდ ქუთაისის ქუჩებში...

საქართველოში უკვე არამარტო პოლიტიკოსები, ოპოზიციონერები თუ პროტესტანტი მოსახლეობა გამოდის ქუჩაში, არამედ 31 მარტიდან წიგნებმაც ქუჩებში ხეტიალი დაიწყეს!

ეს იდეა პირველად მწერალ ჯაბა ზარქუას დაებადა და „სახალხო თამაში“ წამოიწყო:თამაშის არსი, არც მეტი და არც ნაკლები — წიგნების ქუჩაში დატოვებაა, სადაც ნებისმიერ გამვლელს შეეძლება მისი აღება და წაკითხვა. „ერთი ასეთი იდეა მაქვს, პირობითად დავარქვათ „საჯარო ბიბლიოთეკა“, დაწერა მან პერსონალურ გვერდზე, „მოკლედ, გაგვაქვს წიგნი ქუჩაში (მე ჩემსას გავიტან და საკუთარ თავსაც წავეხმარები ბარემ ოდნავ) და ვდებთ სადმე — მეტროს ამოსასვლელში, ტროტუარზე, ავტობუსის გაჩერებაზე, პარკში, ინსტიტუტის წინ და ა.შ. ზედ დავწერ „წაიკითხე და არ დაიტოვო, არც არავის მისცე — დადე ქუჩაში“ და მივაგდებ. საინტერესოა, რა გზას გაივლიან. იქნებ უკან დაგიბრუნდეს წლების მერე, ან საერთოდაც გლდანის ნაგავსაყრელზე აღმოჩნდეს ან ვინმემ დაიტოვოს ან რავი. მე რომ ასე მეპოვა წიგნი ქუჩაში, ძაან გამისწორდებოდა და ჩავერთვებოდი თამაშში. მოგწონთ? შემომიერთდებით? ერთი ნებისმიერი წიგნი გავიმეტოთ, „დავაბინძუროთ“ ქუჩები!“

და გაუშვა სამოგზაუროდ ჯაბამ თავისი წიგნი — „მკითხველი უნდა მოკვდეს“ – „გააგდო“ ქუჩაში, იქნებ, ვინმე გადაეყაროს და წაიკითხოსო. მან სოციალურ ქსელ facebook–ზე გვერდი გააკეთა, რათა საკუთარი იდეა სხვებისთვის გაეზიარებინა, ერთ დღეში გვერდს უკვე 5 000-მდე მოწონება ჰქონდა. ახლა კი უკვე გამოუჩნდნენ ჯაბას მიმდევრები და **თბილისში ნამდვილი წიგნების ეპიდემია დაიწყო.**

ეს სასიამოვნო „ეპიდემია“ რამდენიმე დღეში საქართველოს რეგიონებსა და ქალაქებსაც მოედო.

და... ხეტიალობენ წიგნები თბილისში, ქუთაისში, ახალციხეში, ზუგდიდში, ხაშურში, ოზურგეთში...

„გამარჯობა! მე მოხეტიალე წიგნი ვარ, მიხარია, რომ მიპოვე, ვიცი ძალიან მოგეწონები. წამიკითხე და სადმე დამტოვე“ — მსგავსი წარწერით წიგნები დღეიდან ნებისმიერ ადგილზე შეიძლება იპოვოთ.

არსებობს ორი პირობა მათთვის, ვინც მოხეტიალე წიგნს იპოვის, მათ წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხონ, შემდეგ კი სხვა ადგილზე დატოვონ, სადაც წიგნი ახალ მკითხველს დაელოდება.

თქვენ შეგიძლიათ დატოვოთ წიგნი ქუჩაში, კაფეში, ტრანსპორტში და სხვა ნებისმიერ ადგილზე.

***

აქვე გთავაზობთ სოციალურ ქსელში გავრცელებულ marketer.ge-ს ინტერვიუს ფეისბუქგვერდ „მოხეტიალე წიგნების“ მარკეტეოლოგ ნათელა ჯანელიძესთან.

„ეპიდემია“ ქალაქში „მოხეტიალე წიგნის“ გამოჩენის შემდეგ გაჩნდა. ნებისმიერი ადამიანი წიგნს თამაშის წესების მიხედვით ტოვებს ქუჩაში. მპოვნელი იღებს, კითხულობს და ტოვებს სხვა ადგილზე. აუცილებლად უთითებ, თავად სად და როდის იპოვა.

ნათელა ჯანელიძე (მარკეტოლოგი):

— ეს წამოწყება მიზნად ისახავს პოლიტიზებული ქუჩების, უბნების, ქალაქების და მთლიანად ქვეყნის კულტურულ „ბლოკადას“. მთავარი იდეა არის, ხალხს წიგნი ისეთი ფორმით მივაწოდოთ, რომ მათ კითხვა დაიწყონ. აზრს მოკლებულია იმის თქმა, რომ ქართველები წიგნებს არ კითხულებენ. მე ყოველთვის მჯეროდა, რომ მკითხველთა სეგმენტი აუცილებლად გაიზრდებოდა და გააქტიურდებოდა სწორი კომუნიკაციის შემთხვევაში. ასეც მოხდა, მოხეტიალე წიგნები ამართლებს.

— თამაშში სხვადასხვა ორგანიზაციებიც ჩაერთნენ. როგორ გაგრძელდება პროექტი?

— ამ ეტაპზე, ჩართულია ეროვნული ბიბლიოთეკა და მწერალთა სახლი. მწერალთა სახლში გახსნილია სპეციალური ყუთი, სადაც წიგნების დატოვება და წაღებაა შესაძლებელი. ეროვნული ბიბლიოთეკა კი მკითხველს „სთხოვს“, თუ მან იშვიათი გამოცემა იპოვა, ეროვნულ ბიბლიოთეკაში დატოვოს და სამაგიეროდ სხვა, მისთვის სასურველი წიგნი წაიღოს. გამოგვეხმაურა რამდენიმე კერძო კომპანიაც, მაგრამ კონკრეტული იდეები ჯერ არ აქვთ.

— თუ არის მსგავსი პროექტი რომელიმე სხვა ქვეყანაში?

— ზუსტი ანალოგი არ არსებობს, მაგრამ არსებობს მსგავსი ტიპის პროექტები. მაგალითად, ერთ-ერთ ქვეყანაში არსებობს ნაპოვნი წიგნების ვებ-გვერდი. ზოგ ქვეყანაში ქუჩებში არსებობს სპეციალური ჯიხურები, სადაც ხალხი, თავისი ნებით, ტოვებს და იღებს ნებისმიერ წიგნს.

ეპილოგი

მაშ ასე, ქუთაისის ქუჩებში ხეტიალი, სხვა წიგნებთან ერთად, უკვე დაიწყო ცირა ყურაშვილის „სამოთხის სარკმელმა“.

წიგნს უკვე გამოუჩნდა პირველი მპოვნელი, შინისკენ მიმავალი ლილე ფხაკაძის სახით, რომელმაც დიდი სიამოვნებით დაიმგზავრა მოხეტიალე წიგნი.

ბედნიერ მოგზაურობას ვუსურვებთ „სამოთხის სარკმელს“ იმ იმედით, რომ იქნებ, როცა მოგზაურობით დაიღლება, ისევ რედაქციაში დაგვიბრუნდება...

გამოცხადებული ტენდერების რაოდენობით ქუთაისის მერია პირველ ადგილზეა

გამოცხადებული ტენდერების რაოდენობით ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოს მასშტაბით პირველ ადგილზეა. აღნიშნულის შესახებ მერის მოვალეობის შემსრულებელმა შოთა მურღულიამ „ბაღის კიდის“ და საზოგადოება „ქუთაისის“ წარმომადგენლებთან შეხვედრისას ისაუბრა. მურღულიამ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გასულ წელთან შედარებით ტენდერები დროულად გამოცხადდა, რაც სამუშაოების ვადაში დასრულების წინაპირობაა.

მან ასევე აღნიშნა, რომ მომდევნო წლებში ბიუჯეტი ხალხთან ერთად უნდა დაიგეგმოს.

მერის მოვალეობის შემსრულებელი „ბაღის კიდის“ და საზოგადოება „ქუთაისის“ წარმომადგენლებს ქუთაისის 2015-2017 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმაზე მუშაობის ფარგლებში შეხვდა. სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობის ფარგლებში შოთა მურღულია, ვიცე-მერი კოტე ქავთარაძე და მერიის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელი მალხაზ ჭრელაშვილი უკვე შეხვდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და არქიტექტორებს.

შეხვედრის მიზანს ქალაქგანვითარების გეგმაზე მუშაობის გაცნობა და რეკომენდაციების მოსმენა წარმოადგენს.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

პრეზიდენტი, ბოკერია, წიკლაური, თათუხაშვილის საქმე და სხვა

მე-2 გვერდიდან

გიგა ბოკერია — „ცოტა უხერხულიც კი იყო, ასე რომ დაგვიანდა ჩემი დაკითხვაზე დაბარება...“

დასაკითხთა რიგში უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის გიგა ბოკერიას ჯერიც დადგა. ის პროკურატურაში უშიშროების საბჭოს მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობის საბიუჯეტო სახსრებისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფულადი თანხების არამიზნობრივი ხარჯვის საქმეზე მოწმის სახით დასაკითხად დაიბარეს.

„საქმე ეხება გიგა ბოკერიას საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად (აპარატის ხელმძღვანელი) მუშაობის პერიოდში, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობის საბიუჯეტო სახსრებისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფულადი თანხების არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტებს. საქმეს მინიჭებული აქვს საიდუმლო გრიფი და მასზე გამოძიებას საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი აწარმოებს,“ — ნათქვამია მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თავად უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი დაკითხვაზე მის დაბარებას ხელისუფლების ღრმა კრიზისში ყოფნით ხსნის და მიიჩნევს, რომ ამით გარკვეული თემების გადაფარვა სურთ. ბოკერიამ პროკურატურაში შესვლამდე განაცხადა, რომ დაკითხვაზე მისი დაბარება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან პრემიერ-მინისტრობის დროს ივანიშვილს ეს არაერთხელ საჯაროდ განუცხადებია და დაუანონსებია.

„ყველასთვის აშკარაა, რომ პროკურატურა პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოიყენება, იქიდან გამომდინარე, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, იმ ფონზე, როცა ჩემი თანაგუნდელების მეგობრების ძალიან დიდი ნაწილი ციხეშია ან ბრალი აქვს წაყენებული ან დღე და ღამე დაკითხვაზე დაატარებენ ცოტა უხერხულიც კი იყო, ასე რომ დაგვიანდა ჩემი დაკითხვაზე დაბარება. თუკი რაიმეს შეიძლება, დავუკავშიროთ ეს, მგონია, ეს დაკავშირებულია იმ ღრმა კრიზისთან, რომელშიც დღეს ხელისუფლება და მათი დაკვეთით მოქმედი პროკურატურა და სამართალდამცველი ორგანოები იმყოფებიან. იგივე თათუხაშვილის სიკვდილთან დაკავშირებით და წიკლაურის ცემასთან დაკავშირებით, ახლა ეს დღე როგორც ჩანს სასურველ მომენტად მიიჩნიეს,“ — განაცხადა გიგა ბოკერიამ.

მისივე განმარტებით, ბიძინა ივანიშვილი თვლიდა და ახლა მისი დაკვეთით მოქმედი პროკურატურაც ასე თვლის, რომ ხარჯები, რომელსაც უშიშროების საბჭო სწევდა, არ იყო მიზნობრივი. „მე როგორც უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივანი, ვთვლიდი, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია, არაღიარების პოლიტიკა, რუსეთთან მიმართებაში არსებული საკითხები და სხვა ასეთი მიმართულებები, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია, იყო ჩემი მოვალეობა და ხარჯები აბსოლუტურად ადეკვატური იყო. ეს მათთვის არაადეკვატური კი არა კრიმინალადაც კი თვლიან,“ — განაცხადა ბოკერიამ.

პრეზიდენტი პირველი ევროპული ვიზიტით პოლონეთს ესტუმრა...

გასულ კვირას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ორდღიანი ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკას ესტუმრა. ეს იყო პრეზიდენტის პირველი ევროპული ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში გიორგი მარგველაშვილი პირისპირ შეხვდა პოლონეთის პრეზიდენტს — ბრონისლავ კომოროვსკის, პრემიერ-მინისტრს — დონალდ ტასკს, ხოლო მეორე დღეს ქალაქ კრაკოვს ესტუმრა და ვაველის სამეფო სასახლე მოინახულა.

პირველი ევროპული ვიზიტის დროს პრეზიდენტს პირველი ლედის რანგში მეგობარი ქალი მაკა ჩიჩუა ახლდა, რომელმაც პოლონეთის პირველ ლედისთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა — ანნა კომოროვსკამ და მაკა ჩიჩუამ ვარშავის „დედათა და ბავშვთა ინსტიტუტი“ მოინახულეს, სადაც მაკა ჩიჩუამ პატარებს საჩუქრებიც გადასცა. კლინიკაში სტუმრობის დროს, მაკა ჩიჩუამ ონკოლოგიური განყოფილებაც მოინახულა, სადაც პატარა პაციენტებს პირადად გაესაუბრა. თითოეული მათგანი მან წიგნებით საქართველოს ხედებით, ქართველი მხატვრების ნამუშევრებით გაფორმებული მაისურებითა და „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური გამოცემებით დაასაჩუქრა.

„დღეს საქართველოს ყველაზე დიდი მიზანი, რომელსაც პოლონეთი მხარს უჭერს, არის ამბიცია, უმოკლეს დროში მოაწეროს ხელი ასოცირების ხელშეკრულებას. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ამ ხელშეკრულების ხელმოწერა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია უკრაინის კრიზისისა და რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის ფონზე. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი თვალსაზრისი აბსოლუტურად ემთხვევა და გვჯერა, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში დასავლეთის მხრივ საუკეთესო რეაგირებაა რუსეთ-უკრაინას შორის შექმნილ ვითარებაზე. უკრაინაც ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერის კანდიდატია. ეს გამოხატავს დასავლეთისა და პოლონეთის მტკიცე გადაწყვეტილებას,“ — განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა ბრონისლავ კომაროვსკიმ ერთობლივი პრესკონფერენციის დროს და აღნიშნა, რომ ის და გიორგი მარგველაშვილი მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

ცოტნე კეთილაძე

ეროვნული მოძრაობის ავანგარდში

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გოგი რევიშვილის სტატიას — „ზვიადი იყო პირველი ვიოლინო, რომელმაც ააჟღერა და გააღვივა თავისუფლების სურვილი ერში!“ — გამოქვეყნებისთანავე მოჰყვა გამოხმაურება. იტალიიდან შემოგვეხმიანა ჩვენი თანაქალაქელი ქალბატონი, ბატონ გოგი რევიშვილის დისშვილი მაია ტურაბელიძე.

მან სიყვარულით გაიხსენა თავისი ბავშვობა, როცა გოგი ბიძიასთან ერთად მონაწილეობდა დისიდენტურ მოძრაობაში, ყველა მიტინგსა თუ შეხვედრაზე დაყვებოდა ბიძას და ეროვნულ იდეებზე იზრდებოდა.
ქალბატონი მაია განსაკუთრებული ხაზგასმით საუბრობს გოგი რევიშვილის ღვაწლზე, საბჭოეთის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებზე, რადგანაც თავად ბატონი გოგი ძალიან თავმდაბალი ადამიანია და პრესასთან საკუთარ დამსახურებებზე საუბარს თავი აარიდა.

მაია ტურაბელიძე:

„დღეს ადვილია საუბარი და ყველა ლაპარაკობს. ყველა გამოთქვამს თავის პოლიტიკურ მოსაზრებას. მაშინ სად იყვნენ ეს ადამიანები, როცა ქვეყანაში „უძრაობის ხანა“ იდგა, როცა სუფევდა სიჩუმე, შიში, დასმენა? (ვგულისხმობ საბჭოთა წყობილებას).

სად იყვნენ და წითელი დროშის ქვეშ, წითელი მანდატით გულისჯიბეში და მღეროდნენ: союз нерушимый республик свободных... მხოლოდ ერთეულები (მათი თითებზე ჩამოთვლა შეიძლება) იბრძოდნენ საქართველოსთვის, მისი თავისუფლებისთვის. ბიძაჩემი, გოგი რევიშვილი, ამ ერთეულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. მახსოვს, რომ იგი პროტესტის ნიშნად 20 წლის მანძილზე არ უყურებდა ტელევიზორს, რომელიც აშუქებდა საბჭოთა ლაყბობას.

გოგიმ მთელი თავისი ცხოვრება ეროვნულ მოძრაობას, დისიდენტურ საქმიანობას შესწირა. დაუღალავად იბრძოდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გია ჭანტურიას გვერდით. ქუთაისში, მის სახლში ეწყობოდა საიდუმლო შეხვედრები, საიდუმლო თათბირები ქვეყნის გადასარჩენად, ერის გამოსაღვიძებლად, რომლებსაც სისტემატიურად ესწრებოდა ზვიად გამსახურდია. ჩემი ბებია შეძლებისდაგვარად უმასპინძლდებოდა ზვიადს და ღამეს ათევინებდა. ბიძაჩემის სახლში განუწყვეტლივ მოდიოდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც იგი, სამშობლოს სიყვარულზე ლექციებს უტარებდა.

გოგი თავად ძალიან განათლებული ადამიანია, „ცოცხალ ენციკლოპედიას“ ეძახდნენ. ის ჩვენი ქვეყნის ბევრ გამოჩენილ ადამიანს იცნობდა და სურათებიც აქვს მათთან, მაგ.: პეტრე ჭაბუკიანს, კიტა ბუაჩიძეს, აკაკი შანიძეს, გურამ მამულიას და სხვებს. მახსოვს, გურამ მამულიასთან ერთად უძღვებოდა მაჰმადიანი მესხების საქმეს. მეც არაერთხელ ვყოფილვარ მასთან და სხვა ლიდერებთან ერთად კოპიტნარში, მაჰმადიანი მესხების დასახლებაში.

საერთოდ, ბიძაჩემი მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იყო – შემოწმებული იყო ყველა მისი მოქმედება, სატელეფონო ზარი... გოგი არაერთხელ ყოფილა მაშინდელი ქუთაისის პოლიციის უფროსის, თევზაძის კაბინეტში დაკითხვაზე და მის ზურგს ბევრჯერაც მოხვედრია „დუბინკა“.

მეც, შეძლებისდაგვარად, ვიდექი გოგი ბიძიას გვერდით, ვღებულობდი დავალებებს. არაერთხელ ვყოფილვარ ზვიად გამსახურდიას „კოლხურ კოშკში“ და მერაბ კოსტავას პატარა სახლში. კარგად მახსოვს ამ ადამიანების ოჯახის წევრები.

„მაიკო, გაიხედე იქეთ, თითქოს არაფერი, თვალი მოავლე უბრალოდ, რომ არ შეგნიშნოს. ეგერ რომ კაცია, ჩვენ დაგვდევს, გვითვალთვალებს...“ – მეუბნებოდა ხოლმე ბიძა.

განსაკუთრებით მახსოვს ერთი აგვისტო, როცა გამოვედით „კოლხური კოშკიდან“. 1989 წლის 25 თებერვალი, გლოვის დღე, ოკუპირებული საქართველო... თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე გაიმართა დიდი მსვლელობა. მე და ბიძა რამდენიმე დღით ადრე გავემგზავრეთ ქუთაისიდან მონაწილეობის მისაღებად, რადგანაც ვიცოდით, რომ მერე დაგვაკავებდნენ და აღარ გაგვიშვებდნენ. მართლაც, ჩვენი წასვლიდან რამდენიმე საათში ბებია დაუკითხიათ... თბილისის ქუჩებში შევნიშნე ტანკები, რომლებითაც მალე, 9 აპრილს დაარბიეს მომიტინგეები. შიში მიპყრობდა, მაგრამ ამ აქციის ორგანიზატორების გვერდით მაინც იმედიანად ვიყავი.

ბიძაჩემი და ერთეული ადამიანები ორგანიზებას უკეთებდნენ მიტინგებს ქუთაისში, რომელთა წინა რიგში მეც არაერთხელ ვმდგარვარ და რომლებსაც არბევდნენ სწორედ ისინი, დღეს რომ პატრიოტებად გამოდიან და თავს აძლევენ უფლებას, ილაპარაკონ საქართველოს ბედზე.

ხოლო ადამიანი, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა ერისთვის, ვინმეს ახსოვს დღეს? ვინმეს აინტერესებს იგი?

თუმცა, ბედნიერი ვარ, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სწორად აფასებენ ბიძაჩემის საქმიანობას. ამასწინათ, ერთმა ძალიან კარგმა ადამიანმა და ცნობილმა ქუთაისელმა ჟურნალისტმა, ნანული ცხვედიანმა, სოციალურ ქსელში ასეთი კომენტარი გაუკეთა ჩემს მიერ გავრცელებულ გოგის ფოტოს: „აი, მართლაც, ვინ იყო ნამდვილი დისიდენტი ქუთაისში! და არა ისინი, მერე ქულებს რომ იწერდნენ სახელისუფლებო ადგილების მოსაპოვებლად. ეს არის კაცი, რომელმაც დაივიწყა პირადი ცხოვრება და თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები საქართველოს მომავალს შესწირა.“

მე ვალდებული ვიყავი, აუცილებლად მეთქვა ეს სათქმელი, რადგან შთამომავლობამ უსათუოდ უნდა იცოდეს გოგი რევიშვილის წვლილის შესახებ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

კიტა ბუაჩიძე სტუმრად ჯემალ ფხაკაძის ოჯახში. სუფრასთან არიან ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები: გოგი რევიშვილი, ლია კაცაძე, სოსო ანდრიაძე და სხვები.

გოგი რევიშვილი დედასთან, ჟუჟუნა კიკაბიძესთან და დისშვილ მაია ტურაბელიძესთან ერთად

ეროვნული მოძრაობის ლიდერები ქუთაისში

„ელექტროლიტური დისოციაციის თეორიამ“ წარმატებით ჩაიარა

21 მარტს იოსებ ოცხელის სახელობის ქუთაისის მე-2 საჯარო სკოლის მე-10[1] კლასში ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე „ელექტროლიტური დისოციაციის თეორია“.

ბუნებაში ყოველივე ერთმანეთს უკავშირდება და, აქედან გამომდინარე, ბევრი აქვს საერთო საბუნებისმეტყველო დარგებს ქიმიას, ფიზიკას, ბიოლოგიას. სწორედ მოცემულ საგნებთან ინტეგრირებით ჩატარდა ღია გაკვეთილი.

მონაწილეები დაიყვნენ შვიდ-შვიდ წევრიან ჯგუფებად, რომელთაც სხვადასხვა დავალებების შესრულება მოუწიათ. ქიმიის მასწავლებლის, ქალბატონ მარინა რუსაძის, დახმარებით და ჩვენი დიდი მონდომებით ჩავატარეთ ცდები, რომლებიც დაგვეხმარა ელექტროლიტური დისოციაციის თეორიის უკეთ შემეცნებაში.

მეტად საინტერესო გახლდათ ყოველი ჩვენგანისთვის გაკვეთილისთვის მზადების პროცესი. მოვიძიეთ უამრავი მასალა, დავამზადეთ პოსტერები, სლაიდები, რომლებიც საშუალებას აძლევდა მნახველს, მაქსიმალურად დეტალურად წარმოედგინა ჩვენ მიერ აღწერილი პროცესები. გამოვიყენეთ ჩვენი მცირე გამოცდილება და ასევე მოვამზადეთ შესაბამისი ფოტომასალა, შევქმენით ელექტ. ფორმატის პრეზენტაციები. მოპოვებული მასალები დავამონტაჟეთ და შევქმენით ვიდეო, რომელიც საინტერესო ინფორმაციათა ნაკრებს წარმოადგენდა. დამზადებულმა მასალებმა მოსწავლეთა და მოწვეულ სტუმართა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. გაკვეთილის პირველი ნაწილი ქიმიური პროცესების განხილვას დაეთმო და დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგენდა ზემოხსენებულ ინფორმაციებს. სპეციალურად, მოცემული გაკვეთილისთვის ბავშვებმა საკუთარი ხელით დავამზადეთ ცდის ჩასატარებელი სხვადასხვა საშუალება, რამაც ჩვენი დიდი დაინტერესება გამოიწვია.

გაკვეთილის მეორე ნაწილს ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლები წარმართავდნენ. ვისაუბრეთ ფოტოსინთეზზე, ენერგეტიკულ ცვლასა და ოსმოს–ზე, დავუკავშირეთ მოცემული საკითხები ჩვენი გაკვეთილის მთავარ თემას.

პირადად ჩემთვის მოცემული გაკვეთილი მეტად სახალისო, შემეცნებითი და საინტერესო გახლდათ. ვისწავლე ძალიან ბევრი რამ, ცოდნა მეც და ყველა ჩემს მეგობარს გაუღრმავა მოპოვებულმა უამრავმა თვალსაჩინო მასალამ. უაღრესად სასიამოვნო გრძნობა გეუფლება როცა შრომობ, მთელ შენს შესაძლებლობებს იყენებ პროექტის წარმატებისთვის და საბოლოოდ მიზანს აღწევ. თითოეულმა ჩვენგანმა მასწავლებლებთან ერთად ეს სასიამოვნო შეგრძნებაც განვიცადეთ.

ნინო სახამბერიძე
მე-10[1] კლასი

ფრანკოფონიის დღეები ქუთაისის მე-17 სკოლაში

2014 წლის 15 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით, ქუთაისში, საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით, იმართება ფრანკოფონიის დღეები, რომელსაც შეუერთდნენ სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლის 8^3 კლასის ფრანგული ენის შემსწავლელი წრის წევრები (მასწავლებელი: ლალი ჩირგაძე).

18 მარტს მოსწავლეები დაესწრნენ ლექციას, რომელიც ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში წაიკითხა ფრანგმა ისტორიკოსმა, პედაგოგმა, მოგზაურმა, ფოტოგრაფმა ლიონელ ბონუვრიემ.

აღსანიშნავია, რომ ფრანგი მოგზაური აღფრთოვანებულია საქართველოთი და მან შექმნა ქართული ოჯახი.

2014 წლის 21 მარტს კი ფრანგული ენის შემსწავლელი წრის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ღონისძიება „ ჩვენ გვიყვარს ფრანგული ენა“.

psnews.ge

ქუთაისს ახალი ცენტრალური შემოსასვლელი ექნება

ავტობანის დასრულების შემდეგ ქუთაისის ცენტრალური შემოსასვლელი ნიკეას ქუჩიდან იქნება. შესაბამისად, აღნიშნული უბნის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა და განვითარება მოხდება. ასევე მოხდება საფიჩხიაზე არსებული ძველი შემოსასვლელის რეგულაცია.

მოსალოდნელი ცვლილების შესახებ 1 აპრილს მერის მოვალეობის შემსრულებელმა შოთა მურღულიამ არქიტექტორებთან გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა.

„ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორი იქნება ჩვენი ქალაქი ხუთი წლის შემდეგ, რისთვისაც აუცილებელია სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის არსებობა. ეს არის კარგი პირობა ინვესტორების მოსაზიდად. გეგმა სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს. სწორედ ამ გეგმის ფარგლებში გავმართეთ შეხვედრა არქიტექტორებთან, მოვისმინეთ მათი მოსაზრებები, რომელიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული გეგმაზე მუშაობის პროცესში," — განაცხადა შოთა მურღულიამ.

არქიტექტორების განცხადებით კი, მნიშვნელოვანია სამუშაოები დაჩქარებული ტემპით არ განხორციელდეს, რაც მათ ხარისხზე უარყოფითად აისახება.

ქუთაისის 2015-2017 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა აქტიურად გრძელდება. შეხვედრა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან გაიმართება, რომელთა მიერ დაკომპლექტებული ჯგუფი ქალაქის სტრატეგიული გეგმაზე ერთობლივად იმუშავებს.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

„ზესტაფონი" თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ბაზას აშენებს

საქართველოს ორგზის ჩემპიონი ფეხბურთში ზესტაფონის „ზესტაფონი" თბილისში საწვრთნელ ბაზას აშენებს.

ქართულ-უკრაინულმა კომპანია „ლაუნს ოფ ჯორჯიამ" იმერულ კლუბს ერთი ბაზა ზესტაფონის მახლობლად თითქმის უკვე აუშენა და მეორეს კი ახლა, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებს.

თბილისის ზღვაზე ზესტაფონელები ლიხსიქეთა მატჩებისთვის მოემზადებიან, ყოფილი ტექნიკუმის ტერიტორიაზე კი — ლიხსაქეთა შეხვედრებისთვის.

თბილისის ზღვაზე სამუშაოები რამდენიმე კვირის წინ დაიწყო. სადღეისოდ, მშენებლობა ბიუროკრატიული ბარიერების გამო შეჩერებულია, მაგრამ „ზესტაფონში" იმედოვნებენ, რომ სამუშაოები მალე განახლდება.

„კლუბისთვის საწვრთნელი ბაზის მომზადებასთან ერთად, ჩვენი მიზანია ზესტაფონიდან თბილისში წასულ და თბილისში მცხოვრებ ზესტაფონელ ბავშვებს ვარჯიშის საშუალება მშობლიური კლუბის აკადემიაში მივცეთ და ეს რესურსი ავითვისოთ.

გასახდელებისა და მცირე ზომის ტრიბუნების აშენებასთან ერთად თბილისის ზღვაზევეა გათვალისწინებული ბავშვთა აკადემიის ამოქმედებაც," — აღნიშნავს კლუბის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი სერგო ფუტკარაძე.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

სამოქალაქო საზოგადოების მიმართვა საქართველოს პარლამენტს

საქართველოს 65-მა არასამთავრობო და მედიაორგანიზაციამ ხელი მოაწერა სამოქალაქო საზოგადოების მიმართვას პარლამენტის მიმართ, რომლის მთავარი მოთხოვნაა, რომ გაითვალისწინოს საკრებულოების, მაჟორიტარი დეპუტატების, განსაკუთრებით, გორისა და ახალციხის საკრებულოების პოზიცია და მთავრობას ამ მუნიციპალიტეტების ოპტიმიზაციის დამატებითი განხილვა და შესაბამისი წინადადების წარდგენა მოსთხოვოს.
ამ მოთხოვნას ჩვენმა მედიაორგანიზაციამაც მოაწერა ხელი. გთავაზობთ მიმართვის ტექსტს სრულად:

„2013 წელს, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, ხელისუფლებამ გამოაცხადა თვითმმართველობის ახალი რეფორმის დაწყება. რეფორმის მიზანი იყო დანგრეულიყო ის სახელისუფლო ვერტიკალი, რომელიც თვითმმართველობის ფასადის მიღმა წინა ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა. სამწუხაროდ, ამ მიზნით ჩადებული ყველა რეფორმისტული დებულება ნიველირებულ იქნა კანონპროექტის სამთავრობო და საპარლამენტო განხილვებისას გასული წლის დეკემბერში, კერძოდ:

თბილისში აღარ განხორციელდა საუბნო საბჭოების არჩევნების მეშვეობით დედაქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო შტოს დეცენტრალიზაცია;

არ დაკანონდა კოდექსის თავდაპირველ პროექტში ასახული ინიციატივა, რომლის თანახმადაც სოფლების დონეზე უნდა შექმნილიყო საზოგადოებრივი საბჭოები, როგორც მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმი;

გუბერნატორი, კვლავინდებურად, არ არის ანგარიშვალდებული ადგილზე არჩევითი ინსტიტუტების წინაშე;

მერებისა და გამგებლების პირდაპირი არჩევის წესის შემოღების მიუხედავად, ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაიტოვა მათზე პოლიტიკური ზემოქმედების — საკრებულოს მეშვეობით გადაყენების მექანიზმი;

ნაცვლად 18 მსხვილი ქალაქისა, თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მხოლოდ 7 სამხარეო ცენტრს მიენიჭა.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლება კვლავინდებურად აცხადებს, რომ ეს არის „უპრეცედენტო მასშტაბის" თვითმმართველობის რეფორმა.

წინგადადგმული ნაბიჯი და სიახლე, შესაძლოა, ყოფილიყო თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების შემდეგ 7 მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ოპტიმიზაცია. 2014 წლის 13 მარტს, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ გამოთქვა მზადყოფნა, ადგილობრივი მოსახლეობისა და არასამთავრობო სექტორისგან მიეღო და განეხილა ოპტიმიზაციის ვარიანტები. ჩვენ, ხელისუფლებას წარვუდგინეთ წინადადებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შემდეგ დარჩენილ ტერიტორიებზე რამდენიმე მუნიციპალური ერთეულის ჩამოყალიბებას და ეს წინადადებები სწორედ მოსახლეობასთან, რეგიონალურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მაჟორიტარ დეპუტატებთან, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან კონსულტაციების შედეგად ჩამოყალიბდა.

27-28 მარტს საკრებულოებში თითქმის ერთდროულად ჩატარდა ამ საკითხის განხილვა. გორისა და ახალციხის საკრებულოებმა მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე თვითმმართველი ერთეულის შექმნას. სამწუხაროდ, 28 მარტს გამართულ მთავრობის სხდომაზე არ განხილულა რაიმე ალტერნატივა, გარდა ფაქტობრივად არსებული მდგომარეობის დაკანონებისა.

სამთავრობო კომისიის მუშაობა გაუმჭვირვალედ და მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობდა, კომისიამ ვერ უზრუნველყო მოსახლეობასთან კონსულტაციები, გადაწყვეტილების მიღებისას არ იყო გათვალისწინებული საკრებულოების და საზოგადოების აზრი.

მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ეფუძნება კანონის სულისკვეთებას, საზოგადოების განწყობებს, თვითონ მთავრობის მიერ დეკლარირებულ დეცენტრალიზაციის პრინციპებს. არ იქნა გათვალისწინებული ის ფაქტიც, რომ მსხვილი მუნიციპალიტეტების შენარჩუნება, მთლიანად რეფორმის ჩაშლის მიზეზი შეიძლება გახდეს და საბოლოოდ დავკარგოთ ის მცირე მიღწევები, რომლებიც ამ რეფორმას შეიძლება მოჰყვეს.

მოვუწოდებთ პარლამენტს, გაითვალისწინოს საკრებულოების, მაჟორიტარი დეპუტატების, განსაკუთრებით, გორისა და ახალციხის საკრებულოების პოზიცია და მთავრობას ამ მუნიციპალიტეტების ოპტიმიზაციის დამატებითი განხილვა და შესაბამისი წინადადების წარდგენა მოსთხოვოს."

ხელს აწერს 65 არასამთავრობო ორგანიზაცია

საქართველოს მოქალაქეები ევროპაში უვიზოდ 2016 წლიდან იმოგზაურებენ

საქართველოს მოქალაქეები შენგენის ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობას ყველაზე გვიან 2016 წლის დასაწყისიდან შეძლებენ, — ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა.

იგი იმედოვნებს, რომ ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების პირველი ფაზა მიმდინარე წლის ზაფხულის ბოლოს დასრულდება, ხოლო მეორე – 2015 წლის „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტამდე, რომელიც რიგაში ჩატარდება. ალექსი პეტრიაშვილის თქმით, უვიზო მიმოსვლა საქართველოს ყველა მოქალაქეზე გავრცელდება და არა მხოლოდ გარკვეულ კატეგორიაზე.

„ეს შეეხება აბსოლუტურად ყველა მოქალაქეს, ვისაც ექნება საქართველოს პასპორტი, მათ შორის აფხაზ და ოს მოქალაქეებსაც, როდესაც სამოქმედო გეგმის შესრულების ფაზები დასრულდება და ევროკავშირი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თუკი შევძელით და ეს მოხდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" მომავალ სამიტზე, რამდენიმე თვეში, 2015 წლის ბოლოსთვის რეალურად შესაძლებელი იქნება, რომ პრაქტიკულად მიღებულ იქნას გადაწყვეტილება და ყველაზე გვიან 2016 წლის დასაწყისიდან საქართველო ნებისმიერმა მოქალაქემ შეძლოს, შენგენის ზონაში ვიზის გარეშე იმოგზაუროს," — აღნიშნა პეტრიაშვილმა.

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა საქართველოს 2013 წლის თებერვალში გადმოეცა. საქართველოს მიერ აღნიშნული გეგმის წარმატებით აღსრულების შემთხვევაში, შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე, ევროკავშირის სივრცეში (შენგენის ქვეყნებში) უვიზო მიმოსვლის რეჟიმი იქნება შემოღებული. სამოქმედო გეგმა ორი ფაზისგან შედგება და იგი როგორც საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე ცალკეული მიმართულებებით (დოკუმენტების უსაფრთხოება, საზღვრის მართვა, მიგრაცია, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები) რეფორმების განხორციელებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს თავდაპირველად ჰქონდათ მოლოდინი, რომ ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ეტაპის დასრულება ვილნიუსის სამიტამდე მოხდებოდა, მოგვიანებით კი ამ თარიღმა 2014 წლის დასაწყისამდე გადაიწია. 3 აპრილს კი სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ ქართული მხარე სამოქმედო გეგმის პირველი ნაწილის დასრულებას ზაფხულის ბოლომდე ვარაუდობს.

„ინტერპრესნიუსი"

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია მიმდინარეობს

2014 წლის 11 აპრილის ჩათვლით, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია მიმდინარეობს. 3 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი ქუთაისის პროფესიულ კოლეჯ „იბერიას" ეწვივნენ რეგისტრაციის პროცესის მიმდინარეობას გაეცნენ და სასწავლებელი დაათვალიერეს.

პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაცია მიმდინარე წლის 21 მარტიდან მიმდინარეობს საქართველოს მასშტაბით არსებულ თბილისის, ქუთაისისა და ქობულეთის საინფორმაციო ცენტრებში, საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში.

ორი აპრილის მონაცემებით საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიაში" საგაზაფხულო მიღებისთვის 200-ზე მეტი აპლიკანტია დარეგისტრირებული. კოლეჯში მისაღები ადგილების რაოდენობა 660-ია. ამჟამად, კოლეჯში 609 პროფესიული სტუდენტი სწავლობს შემდეგ სპეციალობებზე: მზარეული, კონდიტერი, მემცენარე, მეფუტკრე, სასტუმრო, სარესტორნო საქმის მწარმოებელი, ელექტრიკოსი, მღებავი, მეფილე-მომპირკეთებელი, თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი, ზეინკალ-სანტექნიკოსი, სავალი ნაწილის ტექნიკოსი, ძრავის შემკეთებელი, ავტომობილის ზეინკალი, კალატოზი, დურგალი, შემდუღებელი, გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟე, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი, სტილისტი, ბუღალტერი, კომპიუტერული გრაფიკოსი, ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი).

საგაზაფხულო მიღებაზე ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა დარეგისტრირდეს და სახელმწიფო დაფინანსებით დაეუფლოს მისთვის სასურველ პროფესიას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ 24 საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომლებიც პროფესიულ პროგრამებს ახორციელებენ. პროგრამის ხანგრძლივობა განსაზღვრულია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით.

სასწავლებლები აღჭურვილია განახლებული ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, დაკომპლექტებულია კვალიფიციური და გადამზადებული პედაგოგებით, რაც წამყვან ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის ათვისების საფუძველზე, ყველა მსურველს მისცემს საშუალებას გახდეს კონკრეტული დარგის პროფესიონალი და დასაქმდეს.

psnews.ge

სკოლა და ინფორმატიკის ოლიმპიადები

ინფორმატიკის წრემ ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში (ამჟამად ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა) ფუნქციონირება 1997 წელს დაიწყო. იმ პერიოდში ინფორმატიკის ოლიმპიადებს განათლების სამინისტროში კურირებდა ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული გიორგი (გოჩა) მანდარია, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის დარგის განვითარებაში. სწორედ მისი თხოვნით დაიწყო ბატონმა ივლიანე ნაჭყებიამ ფიქრი ინფორმატიკის წრის ჩამოყალიბებაზე. იმ წლებში სკოლას მძიმე დროება ედგა, ბატონმა ივლიანემ შემოიკრიბა სკოლის კურსდამთავრებულები და მათთან ერთად ცდილობდა სკოლის აღორძინებას. სწორედ ერთ-ერთ მათგანს, სკოლის ამჟამინდელ დირექტორს, გენადი მარგველაშვილს მოუვიდა იდეა ჩემი მოწვევისა. ბატონ ივლიანეს ჩემი გახსენება არ გასჭირვებია, რადგან მას სკოლის დაარსებიდან დღემდე (მალე 40 წელი სრულდება) ყველა კურსდამთავრებული ახსოვს არამარტო სახელით და გვარით, არამედ ხასიათით, ქცევით და აკადემიური მოსწრებით. მარტო ეს ფაქტიც მიუთითებს იმაზე, რომ მისთვის ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა მხოლოდ სკოლა კი არა, განათლების ტაძარი იყო.

მარცხნიდან: გოჩა მანდარია (გუნდის ლიდერი), დავით თვალჭრელიძე, ზვიად მეტრეველი, გიორგი ლეკვეიშვილი, გიორგი ნადირაძე და ზაზა გამეზარდაშვილი

ლეგენდარული „ACDV" – სხედან ალექსანდრე ღვინეფაძე, ვასილ მელქაძე, დანიელ რატიანი. დგას – ცეზარ თვალოძე

ცოტნე ტაბიძე

ნიკოლოზ ჯიმშელეიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ იმხანად ძალზე დაკავებული ვიყავი, დიდხანს არ მიყოყმანია. მუდამ მიმაჩნდა და დღემდე მიმაჩნია, რომ რაზმაძის სახელობის სკოლაში გატარებულმა ოთხმა წელმა უდიდესი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში და რადგან „ვალის დაბრუნების" საშუალება მომეცა, შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. პირველ რიგში მოსაგვარებელი იყო ტექნიკური ბაზის საკითხი. სკოლაში მხოლოდ ერთი მოძველებული კომპიუტერი იდგა. ამას ემატებოდა ელექტროენერგიის ხშირი გათიშვა და სასწავლო პროცესი ეფექტს კარგავდა. რადგან სკოლები ბიუჯეტიდან ძალზე მწირად ფინანსდებოდნენ, ბატონმა ივლიანემ ორიენტაცია სოროსის ფონდის გრანტებზე აიღო და ნელ-ნელა თავი მოვუყარეთ 20 ახალ კომპიუტერსა და გენერატორს. დღეს ეს სათქმელად თითქოს იოლია, მაგრამ მაშინ ძალზე დიდი ენერგია დაიხარჯა ამ გრანტების მოსაპოვებლად და, როგორც მახსოვს, სულ მცირე 50-ჯერ მაინც გახდა საჭირო თბილისში ჩასვლა.

კომპიუტერული კლასის შექმნის პარალელურად სკოლამ ადგილი შეიცვალა და მოსწავლეთა ნაკადიც გაიზარდა. მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ იყო მარტივად მისაღები გადაწყვეტილება. პედაგოგთა და კურსდამთავრებულთა დიდ ნაწილს უჭირდა ძველი შენობის დატოვება, სადაც ყოველი კუთხე-კუნჭული გარკვეულ მოგონებას უკავშირდებოდა. თითქოს ამით ხელვყოფდით ვანო მაღლაფერიძისა და ალიოშა გოგელიას ნამოღვაწარს, მაგრამ ახლა, წლების გადასახედიდან, ნათლად ჩანს, რომ ეს სწორი ნაბიჯი აღმოჩნდა. დალაგებულ სახელმწიფოში მსგავსი სკოლის არსებობა გარეუბანში აჯობებდა, მაგრამ მაშინდელ სიტუაციას ძნელად თუ უწოდებდი დალაგებულს. რაც მთავარია, არ ფუნქციონირებდა პანსიონი, რომელშიც აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობდნენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით ქალაქის ცენტრში გადასვლას ბევრი დადებითი რამ ახლდა თან.

ინფორმატიკის წრის გახსნას თავიდან დიდი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია სკოლაში. მხოლოდ ოთხმა მოსწავლემ გამოიჩინა ნებისყოფა და სრულიად უცხო საგნით დაინტერესდა. ესენი იყვნენ დანიელ რატიანი, ალექსანდრე ღვინეფაძე, ცეზარ თვალოძე და ვასილ მელქაძე. აქვე დავძენ, რომ შემდგომში სამი მათგანი ბოლომდე გაჰყვა პროგრამირებას და დღეს საქართველოს წამყვან კომპანიებში მუშაობენ ამ მიმართულებით. მათგან ყველაზე დიდ წარმატებას დანიელ რატიანმა მიაღწია, რომელიც მოხვდა მოსწავლეთა ინფორმატიკის ნაკრებში და 1998 წელს მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ოლიმპიადაში (პორტუგალია). მომდევნო წელს კი იგივე შედეგი გაიმეორა მერვეკლასელმა შოთა ღვინეფაძემ (თურქეთი).

პირველმა წარმატებებმა მოსწავლეებში ინტერესი გააღვივა. ამასთან, სკოლაში მოვიდა ვახტანგ შეკიშვილი - უაღრესად ნიჭიერი და მშრომელი ადამიანი, რომელმაც რამდენიმე სხვა სპეციალისტისაგან განსხვავებით, სწრაფად აუღო ალღო საოლიმპიადო თემატიკას. ვახტანგი გამუდმებით სკოლაში იყო, რის გამოც ინფორმატიკაში მეცადინეობა გაცილებით ინტენსიური და პროდუქტიული გახდა. ამავე პერიოდში შემოგვიერთდა ოთარ შენგელია — მაღალი დონის პროფესიონალი, რომელმაც პროგრამირების გარდა კომპიუტერული არქიტექტურა და ქსელური ტექნოლოგიებიც კარგად იცოდა. ყოველივე ამის შედეგად 2000 წელს უკვე ერთბაშად სამი „რაზმაძელი" მოხვდა ნაკრებში (ინფორმატიკის ნაკრებში სულ 4 წევრია): შოთა ღვინეფაძე, გიორგი ბოჭორიშვილი და დავით კოტიშაძე. მოგვიანებით ეს სამეული უგამოცდოდ ჩაირიცხა მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში. დღეს სამივე საქართველოშია და დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის მასშტაბით ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში. ერთდროულად სამი მოსწავლე ნაკრებში უკვე სერიოზული წარმატება იყო, მაგრამ ვერც 2000 წელს და ვერც მომდევნო 2001-ში (შოთა ღვინეფაძე, ლაშა ბანძელაძე) ჩვენმა მოსწავლეებმა ვერ შეძლეს მედლების აღება საერთაშორისო ოლიმპიადებზე. ამის უმთავრესი მიზეზი იყო მასალების სიმწირე, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. მე და ვახტანგი ხშირად მოსწავლეებთან ერთად ვითვისებდით ახალ თეორიებს. ცოტა იყო საერთაშორისო ოლიმპიადების დონის ამოცანებიც (აქ არ შემიძლია არ გავიხსენო მათემატიკის მასწავლებელი ბეჟან მარდალეიშვილი. ის ხშირად გვეხმარებოდა რთული ამოცანების თარგმნაში, რომლებსაც ტექსტის თავისებურების გამო ინგლისურის კარგი სპეციალისტებიც კი ვერ უგებდნენ თავს და ბოლოს).

პირველი მედალი ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადიდან სკოლას ნიკა ჯიმშელეიშვილმა მოუტანა. ეს მოხდა 2002 წელს, სამხრეთ კორეაში. იმ წელს ჩემი დებიუტიც შედგა ნაკრების თანალიდერად (ნაკრების ლიდერი მანამდეც და დღესაც გოჩა მანდარიაა) და აღებულ ვერცხლის მედალზე არანაკლებ სამახსოვრო იყო დახვედრა თბილისის აეროპორტში, სადაც ლამის მთელი სკოლა ჩამოსულიყო ქუთაისიდან ბატონი ივლიანეს მეთაურობით. ამ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა საზაფხულო ბანაკმა, რომელსაც ჩვენი სკოლა აწყობდა ხოლმე სოფელ სალხინოში (მარტვილის რაიონი). სწორედ აქ გაიარა შეკრება გუნდმა (სადაც ორი თბილისელი მოსწავლეც იყო) კორეაში გამგზავრების წინ.

მინდა საგანგებოდ შევჩერდე ნიკა ჯიმშელეიშვილის ფენომენზე, რადგან ვთვლი, რომ საზოგადოებამ მეტი უნდა იცოდეს მისი მიღწევების შესახებ. მომდევნო 2003 წელს, დარწმუნებული ვიყავი, რომ ნიკა ოქროს მედლის აღებას შესძლებდა, მაგრამ ზუსტად ოლიმპიადის წინ ავად გახდა და ერთი თვის განმავლობაში საერთოდ ვერ იმეცადინა. მიუხედავად ამისა, ბრინჯაოს მედალი მაინც აიღო. სამაგიეროდ, მან ფანტასტიკურ შედეგებს მიაღწია მომდევნო წლებში, როცა თსუ-ს გუნდი სტუდენტთა მსოფლიო პირველობის ფინალში გაიყვანა (გუნდში მის გარდა ასევე რაზმაძის სკოლის კურსდამთავრებული გიორგი ლეკვეიშვილი და თბილისელი ელდარ ბოგდანოვი იყვნენ) და იქ ბრინჯაოს მედალს დაეუფლა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან ჭიდილში. ამ წარმატებიდან რამდენიმე წელიწადში კი პროგრამისტთა არაოფიციალურ მსოფლიო პირველობაზე (მხედველობაში მაქვს ტოპკოდერის შეჯიბრი, რომელზეც არანაირი შეზღუდვა არ არსებობს ასაკის ან წოდების მიხედვით) აბსოლუტურ მესამე ადგილზე გავიდა. ეს იმდენად დიდ წარმატებაა, რომ აზრი ეკარგება პირველი ადგილების ჩამოთვლას სამხრეთ კავკასიის თუ აშშ-ს მოსწავლეთა ღია პირველობებზე. დღეს ნიკა აშშ-ში მუშაობს პროგრამისტად, ე.წ. „სილიკონის ველზე". საზღვარგარეთ წასვლამდე იგი აქტიურად მონაწილეობდა მომდევნო თაობების აღზრდაში და ახლაც ხშირად გვეხმიანება დისტანციურად, ისევე როგორც სხვა ყოფილი ოლიმპიელები.

ნიკას მედლებს მოჰყვა ირაკლი ხომერიკის ბრინჯაოს მედალი საბერძნეთში, 2004 წელს და ამით დასრულდა „რაზმაძელ" ინფორმატიკოსთა მესამე თაობის (ნიკა ჯიმშელეიშვილი, ირაკლი ხომერიკი, რეზო ხურცილავა) ხანა, რომელმაც სკოლაში ინფორმატიკის ნამდვილი ბუმი გამოიწვია. მომდევნო თაობაში იმდენი ნიჭიერი მოსწავლე გამოჩნდა, რომ უკვე სკოლის შიგნით შეიქმნა სერიოზული კონკურენცია: გიორგი ლეკვეიშვილი, დავით თვალჭრელიძე, გიორგი ნადირაძე, აკაკი მამაგეიშვილი, ირაკლი მანაგაძე, გიგა მაღლაკელიძე (დღეს ყველა მათგანი წარმატებით მოღვაწეობს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში). პირველ წარმატებას მათგან გიორგი ნადირაძემ მიაღწია, რომელმაც ბრინჯაოს მედალი აიღო 2005 წელს, პოლონეთში, მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება მომდევნო წელს, მექსიკაში გველოდა. ნაკრებში ერთდროულად ისევ 3 „რაზმაძელი" მოხვდა და სამივემ მედალი აიღო: დავით თვალჭრელიძემ — ვერცხლი, გიორგი ლეკვეიშვილმა — ბრინჯაო, გიორგი ნადირაძემ — ბრინჯაო. ამას დაემატა თბილისელი მოსწავლის, ზვიად მეტრეველის ვერცხლი და ეს შედეგი დღემდე საუკეთესოა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებისათვის ინფორმატიკაში. იმ წელს 4 მედალი სულ 12 ქვეყანამ აიღო და ყველა მათგანის დელეგაცია გამოვკითხე. შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ 2006 წელს ინფორმატიკის მოსწავლეთა ოლიმპიადაზე აღებული მედლების რაოდენობით რაზმაძის სკოლა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი გახდა სკოლებს შორის, ხოლო ქუთაისი — ქალაქებს შორის!

იმავე სამეულს ეკუთვნის კიდევ ერთი გუნდური მიღწევა. რუსეთი საკუთარი სკოლებისათვის ყოველწლიურად ატარებს ათეტაპიან ღია ინტერნეტ-შეჯიბრს. სხვადასხვა ქვეყნიდან 2006 წელს ამ შეჯიბრში 200-ზე მეტი სკოლა მონაწილეობდა. „რაზმაძელებმა" იმხელა უპირატესობით გაიმარჯვეს, რომ ბოლო ორი ეტაპის წინ უკვე განაღდებული ჰქონდათ პირველი ადგილი. 2007 წელს, ხორვატიაში დავით თვალჭრელიძემ და გიორგი ნადირაძემ კიდევ თითო ბრინჯაოს მედალი აიღეს და ამით დაასრულეს თავიანთი საოლიმპიადო მოღვაწეობა. დღეს გიორგი ლეკვეიშვილი „გუგლში" მუშაობს, დავით თვალჭრელიძე „სილიკონის ველზეა" კერძო კომპანიაში, გიორგი ნადირაძე კი გერმანიის ერთ-ერთი უნივერსიტეტის დოქტორანტურაში აგრძელებს სწავლას.

2008 წლიდან ასპარეზზე ცოტნე ტაბიძე გამოჩნდა. მან სამივე სინჯის მედლის მოპოვება მოახერხა და, რაც მთავარია, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად შეძლო ოქროს მედლის აღება. მისი შედეგი — მეშვიდე ადგილი, საუკეთესოა ქართველ ოლიმპიელთა შედეგებს შორის არა მარტო ინფორმატიკაში, არამედ ყველა საგანში. აქვე აღვნიშნავ, რომ ცოტნემ კანადაში გაუსწრო ოთხივე ჩინელ და ოთხივე რუს მონაწილეს, რაც ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერისათვის დაუჯერებელი შედეგია. ამჟამად ცოტნე ინფორმაციული ტექნოლოგიების მექად წოდებულ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლობს და დარწმუნებული ვარ, რომ მისი წარმატებების შესახებ კიდევ ხშირად გავიგონებთ. (სხვათა შორის, ამ წერილის გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე მეორე „რაზმაძელიც" მიიღეს იმავე სასწავლებელში — აკაკი მარგველაშვილი, რომელიც 2009 წელს ინფორმატიკის და მათემატიკის ნაკრებებში ერთდროულად მოხვდა და რადგან იმ წელს ეს ოლიმპიადები პარალელურად ტარდებოდა, იძულებული გახდა, ინფორმატიკის ნაკრებზე უარი ეთქვა). იმავე წლებში ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებზე კიდევ ორი რაზმაძელი მონაწილეობდა: ნოდარ ამბროლაძე (2010 წელი) და ანი მარგველაშვილი (2011 წელი). გარდა ნაკრების წევრებისა, სკოლის კიდევ ბევრმა კურსდამთავრებულმა აირჩია თავის მომავალ პროფესიად ინფორმაციული ტექნოლოგიები, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ზემოთ თქმული რომ შევაჯამოთ, ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეებს ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებზე სულ მოპოვებული აქვთ 1 ოქროს, 3 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალი. იმედია, რომ ეს მონაგარი უახლოეს წლებში კიდევ უფრო მეტად გამდიდრდება.

ზაზა გამეზარდაშვილი
საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების თანალიდერი ინფორმატიკაში

როგორ ექცევიან პაციენტებს „ჩემი ოჯახის კლინიკის" ქუთაისის რეგიონულ საავადმყოფოში

რატომ არ მოსწონთ საყოველთაო დაზღვევა?

საყოველთაო დაზღვევას, რომელსაც, როგორც გვაჯერებდნენ, უნდა გამოეჯანმრთელებინა სრულიად საქართველოს მოსახლეობა, დღეს იგივე ფუნქცია აქვს, რაც მის არქონას: ხალხის ჯიბის დაცარიელება. პაციენტები საავადმყოფოში იმ იმედით მიდიან, რომ მთავრობის „საჩუქარი" გამოიყენონ და საკუთარ ჯანმრთელობას მიაქციონ ყურადღება. მაგრამ, იქ რა ხვდებათ? გულგრილი და გამომძალველი ექიმები დამცინავი სახეებით, რომლებიც, როგორც კი იგებენ, რომ დაზღვევით პაციენტს უფასოდ მომსახურება ეკუთვნის, სწრაფად მოიშორებენ ხოლმე თავიდან, ან ზერელედ დასმული დიაგნოზით გადაამისამართებენ კოლეგებთან. ეს კოლეგები კიდევ სხვა კოლეგებთან და ასე დაუსრულებლად, გავითვალისწინოთ, რომ დაზღვევა არ აფინანსებს ყველა საჭირო ექიმთან ვიზიტს, აქედან დასკვნა: მარტო ექიმების „კოლეგიალურობაში" უწევს პაციენტს იმდენის გადახდა, რაც, ალბათ, საკმარისი იქნებოდა საყოველთაო დაზღვევის გარეშეც.

საყოველთაო დაზღვევაში არ შედის ის ძირითადი სამედიცინო მომსახურეობები, რაც ხშირად ესაჭიროება მოსახლეობის უმეტეს ნაწილს.

პრეტენზიები საყოველთაო დაზღვევის მიმართ უკვე მასშტაბურია და ამიტომაც ერთი კონკრეტული პაციენტის მონათხრობში, შეიძლება, ბევრმა ამოიკითხოს საკუთარი პრობლემა.

პაციენტი: „ჩვენ მხოლოდ გადაუდებელ ოპერაციებს ვაფინანსებთ და მანამდე კი აიტანეთ, გენაცვალე, ტკივილებიო, გაიძახიან ექიმები და ამ გულგრილობით კი ისეთი ადამიანები მიჰყავთ სასწრაფოდ საოპერაციომდე, რომელთათვისაც, თავის დროზე რომ მიექციათ ყურადღება და ზუსტი დიაგნოზის დასმაში გაეწიათ შეღავათები, ოპერაცია არ იქნებოდა საჭირო. მაგრამ, კანონი ასეთიაო, თავს ამით იმართლებენ ჩვენი „მზრუნველი" ექიმები, შეიძლება ასეთი რამ? მარტო აქეთ-იქეთ სირბილში გადამახდევინეს უკვე 300 ლარი. „ეხო" ჩვენთან უნდა გადაიღოთო, ანალიზები ჩვენთან უფრო საიმედოაო, აბა, კიდევ ერთხელ კონტროლი გავაკეთოთო და ა.შ. ამ ვითომ წვრილმანებში წავიდა დრო და ფულიც."

აი, მაგალითად, რამდენიმე დღის უკან, აბაშიდან ჩამოსული პაციენტი ესტუმრა ქუთაისში მდებარე იმერეთის რეგიონალურ კლინიკურ საავადმყოფოს. პაციენტს აბაშის საავადმყოფოში, სადაც ის საყოველთაო დაზღვევით იყო აღრიცხული, ადგილობრივმა ქირურგმა დიაგნოზი დაუსვა და ვინაიდან აბაშაში არ კეთდებოდა საჭირო ქირურგიული ჩარევა, იგი ე.წ. მომართვით ქუთაისში გადაამისამართა, თუმცა, ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში მას უთხრეს, რომ აღნიშნული ქირურგიული მომსახურეობა არ შედის საყოველთაო დაზღვევაში და ადგილზე 120 ლარის გადახდის შემთხვევაში გაუწევენ მომსახურეობას. ხოლო პაციენტის შეკითხვაზე, თუ რატომ თავიდანვე არ გააფრთხილეს ის, რომ დაზღვევა არ აფინანსებდა მისთვის საჭირო მომსახურეობას, ქუთაისში ასეთი პასუხი გასცეს: „ყველამ კი არ იცის, ასე რომ არის, მთავარია, თავიდან მოიშორონ პაციენტები და რიგები გაინთავისუფლონო."

გთავაზობთ თემაზე გამართულ დიალოგს ქირურგსა და პაციენტს შორის:

ექიმი: რომ შემოხვედით ჩემთან, ქვითარი მოიტანეთ? ვიზიტი 30 ლარია.

პაციენტი: მხოლოდ ერთი შეკითხვა მაქვს, ექიმო, იქნებ, არ დამჭირდეს თანხის გადახდა?

ექიმი: ჰმ, რას ამბობ, ჩემი პასუხი ღირს 30 ლარი, ჰოდა, წადი გადაიხადე და მერე მკითხე, რაც გინდა.

პაციენტი: იქნებ, უბრალოდ, მიპასუხოთ, არის თუ არა საშიში ჩემი პრობლემა?

ექიმი: ჯერ არ მოგკლავს, მაგრამ უნდა მიხედო, შემიძლია, ამ ეტაპისთვის ოპერაციის გარეშე შევამსუბუქო მდგომარეობა. მაგრამ არა, არა, გენაცვალე, სადაც გინდა, იქ წადი და რაც გინდა, ის გააკეთებინე, ისედაც ბევრი გელაპარაკე უფულოდ!

ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პაციენტი უკმაყოფილოა საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში ექიმების მომსახურეობით.

რატომ არის ასეთი უწესრიგობა აღნიშნული პროგრამის ირგვლივ და კონკრეტულად რა მომსახურეობები შედის საყოველთაო დაზღვევად წოდებულ სამედიცინო მომსახურებაში? პასუხს ზუსტად ვერსად გეტყვიან... ხალხი კი დაბნეულია.

ჟანა ჯანელიძე
psnews.ge

გოგონათა გასხვისება ცხოველების სანაცვლოდ — 16 წლის გოგო 45 წლის კაცზე 10 ძროხად გაათხოვეს

ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში 16 წლის გოგონა მამამ 45 წლის მამაკაცზე 10 ძროხის სანაცვლოდ გაათხოვა, თუმცა იმის გამო, რომ გოგონა ამ გარიგების წინააღმდეგი იყო, სახლიდან გაიპარა და ცოლად სხვას გაჰყვა. საქართველოს სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ თემებში გოგონათა გასხვისება შინაური ცხოველებისა და ფულის სანაცვლოდ, დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

სნიკერსიანი ძროხა (გაზეთ „სპექტრის" ფოტო) - გადაღებულია საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოში. სოფელში ტრადიციული ადათ-წესები დღემდე აქვთ შემონახული. სასიძო და მისი მეგობრები გოგოს ოჯახში საპატარძლოს დასანიშნად (გამოსასყიდად) მიდიან. ახალგაზრდა მამაკაცებს ქალის ოჯახში პირუტყვი მიჰყავთ. საქონელი წითელი ბაფთებითა და შოკოლადებით საგანგებოდ არის მორთული. ძროხას ყელზე „სნიკერსი" და „ალპენ-გოლდი" აქვს შებმული, რაც სიმბოლურად ოჯახში სიტკბოს შეტანას ნიშნავს.

საერო მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში 18 წელს მიუღწეველი, დაახლოებით, 14 მილიონი გოგო ქორწინდება ერთი წლის განმავლობაში, 38 000 ერთ დღეს, 13 გოგონა კი 30 წამში. საქართველოში არსებული სიტუაცია არანაკლებ მძიმეა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე **განათლების მიღება 7 367-მა გოგონამ შეწყვიტა.**

სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ინფორმაციით, შესწავლის შედეგების მიხედვით, გოგონათა მიერ სკოლის მიტოვების ძირითადი მიზეზი გათხოვებაა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლის თანახმად, ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან. 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

სტატისტიკური მონაცემებით, განათლების შეწყვეტის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ქვემო ქართლის რეგიონში, ასევე კახეთში, ეთნიკური აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში: კაბალში (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი); ყარაჯალასა (თელავის მუნიციპალიტეტი) და იორმუღანლოში (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი).

საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დამამთავრებელი კლასების მოსწავლე გოგონები, მაგალითად, კაბალის საჯარო სკოლაში არ დადიან, რადგან დიდია მათი მოტაცების რისკი.

სკოლის დირექტორმა ალიშან ისმაილოვმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს უთხრა, რომ 2014 წლის იანვარ-თებერვალში მოტაცების 3 ფაქტი, ბოლო პერიოდში კი 20-ზე მეტი ადრეული ქორწინების შემთხვევა დაფიქსირდა.

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ამბობს, რომ განსაკუთრებით მაღალია იძულებითი ქორწინების შემთხვევები, გოგონათა მოტაცება და გარიგებით ქორწინება.

ომბუდსმენი განათლების შეწყვეტის და ადრეული ქორწინების მაღალი მაჩვენებლის შესახებ 2012 წლის ანგარიშშიც საუბრობდა, თუმცა უჩა ნანუაშვილი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები, სამწუხაროდ, არ გადადგმულა.

„მთავარ პრობლემას წარმოადგენს შესაბამისი უწყებების მხრიდან არასათანადო ყურადღება. კაბალის თემში არ იციან, ვის უნდა მიმართონ ბავშვის უფლების დარღვევის შემთხვევაში. გოგონათა გასხვისება შინაური ცხოველებისა და ფულის სანაცვლოდ ამ თემში დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია უწყებათაშორისი კოორდინაცია. მნიშვნელოვანია გააქტიურდეს სოციალური სამსახური, პოლიცია და საგანმანათლებლო დაწესებულებები", – აცხადებს სახალხო დამცველი.

2014 წლის 18 მარტს, თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში, **16 წლის გოგონამ თავი იმის გამო მოიკლა, რომ არ დაეთანხმა მამის გადაწყვეტილებას მის გათხოვებასთან დაკავშირებით** და ვერც წინააღმდეგობის გაწევა შეძლო.

აი, რა გვიამბო სკოლის დირექტორმა ელზა აშიროვამ: „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გოგონას ძალით ათხოვებდა მამა, რომელიც ყაზახეთში ცხოვრობს. გოგონა არ იყო თანახმა, ვერ შეძლო მამისთვის წინააღმდეგობის გაწევა და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ჩვენი თანასოფლელებისთვის მთავარია მატერიალური მდგომარეობა. თუ ბიჭი შეძლებულია, ან საშუალოდ შეძლებული, გოგოს თანხმობას მშობლისთვის მნიშვნელობა არ აქვს, უნდა გათხოვდეს. იმდენად მორიდებული იყო, ვერ მოვიდა ჩემთან. იქვე ახლოს ცხოვრობს ბებია, მასთან მისულა, მაგრამ სამწუხაროდ, ბებიამ ვერ შეძლო ეტყობა დახმარება. ჩვენთან გათხოვება მასობრივად ხდება სწორედ მშობლების ზეწოლით. ზოგიერთი შემთხვევა ასე მთავრდება, ასე გამოხატავენ თავიანთ ემოციებს, განცდებს და უკმაყოფილებას".

სკოლის დირექტორის ინფორმაციით, ზუსტად იგივე მიზეზით, სოფელში თვითმკვლელობა 2013 წელსაც მოხდა. ამ შემთხვევაშიც მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ ბავშვი თანასოფლელ მამაკაცზე გაეთხოვებინათ. გოგონა, რომელიც მე-10 კლასის მოსწავლე იყო, გათხოვებაზე უარს ამბობდა.

2012 წელს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მე-8 კლასის მოსწავლის გადარჩენა შეძლეს. 13 წლის გოგონამ თვითმკვლელობის მიზნით დიდი რაოდენობით მედიკამენტები დალია. გოგონას შეყვარებული ჰყავდა, მშობლებს კი მისი გათხოვება სხვა, ეკონომიურად შეძლებულ მამაკაცზე უნდოდათ.

„თუ ბიჭი შეძლებულია, მე-8, მე-9 კლასის მოსწავლეების სათხოვნელადაც რომ მივიდნენ, მშობელი თანხმდება და ათხოვებს. გასულ წელს გვქონდა ასეთი შემთხვევა, 13 წლის გოგონა გაათხოვეს. ამ ასაკიდან იწყება. შარშან 5 გოგო არ გამოუშვეს სკოლაში, გათხოვების მიზნით", – აღნიშნა ელზა აშიროვამ, ყარაჯალის სკოლის დირექტორმა.

თვითმკვლელობამდე მიყვანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დასჯადი დანაშაულია და ორიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ამის მიუხედავად, სტატიაში მოცემულ თვითმკვლელობის არცერთ ფაქტზე პოლიციას გარდაცვლილთა მშობლები პასუხისგებაში არ მიუცია.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ უნდა გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები. ომბუდსმენი რეკომენდაციას უწევს შს სამინისტროს, მოხდეს ადრეული ქორწინების შემთხვევაში არასრულწლოვანთა დაცვა მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან, ბავშვის უფლებების დამრღვევთა მიმართ ამოქმედდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები. ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ბავშვთა ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების შესახებ შესაბამის უწყებებს ინფორმაცია მიაწოდონ.

თამარ მოდებაძე,
კახეთის საინფორმაციო ცენტრი

ყველაზე ძვირფასი საკვები, რომელსაც ვერასოდეს გასინჯავთ

ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც გემრიელად ჭამა არ უყვარდეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოგვწონს, როცა გემრიელად და ამავდროულად იაფად ვიკვებებით, ხანდახან მოგვინდება გავსინჯოთ რაღაც უცხო, ექსტრემალური საკვები, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირს. მოდით გავიგოთ, რამდენს იხდიან ხანდახან ადამიანები იმისათვის, რომ გაანებივრონ კუჭი.

მაშ ასე, გთავაზობთ მსოფლიოს ათი ყველაზე ძვირფასი საკვების ჩამონათვალს.

სოკო მაცუტაკე

პიცა „როიალ 007“

საზამთრო დენსუკე



ხიზილალა „ალმასი“

სოკო მაცუტაკე

მაცუტაკეს სიძვირეს განაპირობებს ის, რომ ის ძალიან მცირე რაოდენობით იზრდება. ნახევარი კილოგრამი ამ სოკოს ფასი 1000 დოლარს აღწევს. სოკო მაცუტაკეს ან მაცეკეს სამშობლო იაპონიაა, თუმცა ის რამდენიმე აზიურ ქვეყანაშიც გვხვდება. სოკოს იშვიათობა იმან განაპირობა, რომ მწერებმა მნიშვნელოვნად გაანადგურეს ხეები, რომელთა ჩრდილშიც მაცუტაკე ხარობს, ხოლო მისი გამოყვანა ხელოვნურ პირობებში ვერ მოხერხდა. აბა, ვის სურს სოკოიანი ომლეტი? თუმცა უნდა გითხრათ, რომ ის არც ისე იაფი დაგიჯდებათ.

ყველაზე ძვირი ბეიგლი (კრემიანი ფუნთუშა)

ბეიგლი ჯანსაღი საკვები ნამდვილად არაა, მაგრამ ეს ფუნთუშები ძალიან გემრიელი და მსუყეა, ამასთანავე საკმაოდ იაფიც. თუმცა ბეიგლი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, იაფი ნამდვილად არ ღირს. მის გულსართად გამოყენებულია ნაღების ყველი, თეთრი ტრიუფელები, უძვირფასესი ჯემი და საკვებად გამოსადეგი ოქრო. არ გინდათ ამ ფუნთუშის გასინჯვა საუზმეზე? მაშინ კეთილი ინებეთ და 1000 დოლარი გადაიხადეთ, რადგან ის ზუსტად ამდენი ღირს.

პრემიუმ-ფრიტატა

ამ კერძს თავდაპირველად „მილიონად ღირებული ფრიტატა“ დაარქვეს, თუმცა ის „მხოლოდ“ 1000 დოლარი ღირს. მის შემადგენლობაში შედის ლობსტერის ნაჭერი, კვერცხი და თართის ხიზილალა, რომლის 100 გრამი 200 დოლარი ღირს.

სტეიკი ვაგიუს ჯიშის ძროხის ხორცისაგან

ეს სტეიკი 2800 დოლარი ღირს. მისი ფასი განპირობებულია განსაკუთრებული ჯიშის ძროხის ხორცით, რომლისგანაც ისაა დამზადებული. ვაგიუს ჯიშის ძროხებს სპეციალურად ასვამენ ლუდს და უკეთებენ მასაჟს, რომ შემდეგ მათი ხორცი პირში დნებოდეს. აბსურდულად მაღალი ფასის გარდა ეს სტეიკი განსაკუთრებული ცხიმიანობითაც გამოირჩევა. ასე რომ, თუ თქვენი ჯიბე არ გეცოდებათ, კუჭი და ნაღველი მაინც შეიცოდეთ.

სამუნდარი ხაზანა

ეს არის მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი კარი, მისი ერთი ულუფის ფასი 3200 დოლარია. ის მოამზადეს მუმბაიში ფილმის „მილიონერი ჯურღმულიდან“ პრემიერის შემდეგ გამართული საღამოსათვის. მზარეულებმა შეაგროვეს ყველაზე ძვირფასი ინგრედიენტები: თეთრი ტრიუფელი, დევონის კიბორჩხალა, თართის ხიზილალა. ყველაფერ ამას კი ზემოდან მოაყარეს საკვებად ვარგისი ოქრო.

პიცა „როიალ 007“

ეს პიცა, რომლის დიამეტრი სულ რაღაც 30 სმ-ია, 4200 დოლარი ღირს. მის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი ინგრედიენტები: ლობსტერის ნაჭერი კონიაკის მარინადში, შამპანურში დამბალი ხიზილალა, შოტლანდიური შებოლილი ორაგული, ბალზამირებული ძმარი, ირმის ხორცის ნაჭერი და ზემოდან პიცას ადევს 24-კარატიანი ოქრო, რომლის ჭამაც შეიძლება.

საზამთრო დენსუკე

ეს საზამთრო ერთ-ერთი ყველაზე ძვირი კენკრაა დედამიწაზე. დენსუკე შავი საზამთროს ჯიშია, რომელიც მხოლოდ კუნძულ ჰოკაიდოზე იზრდება. მისი მოყვანა ძალიან რთულია და სეზონზე 65 ცალზე მეტი არ მოდის. ერთი ცალი ასეთი საზამთროს ფასი 6100 დოლარია და ის გემოთი ოდნავ თუ განსხვავდება ჩვეულებრივი საზამთროსაგან.

ნესვი იუბარი

2 ცალი ამ ნესვის ფასი 22 870 დოლარია. სწორედ ამდენი გადაიხადა ერთ-ერთი ეგზოტიკური რესტორნის მეპატრონემ მათში. საინტერესოა, რამდენი დოლარის გადახდამ მოუწია კლიენტს, რომელმაც რესტორანში ეს ნესვი შეუკვეთა.

ხიზილალა „ალმასი“

თუ თქვენ ლონდონში მოხვდებით და მოინდომებთ მსოფლიოში ყველაზე იშვიათი და ძვირი ხიზილალის გასინჯვას, ესტუმრეთ რესტორანს Caviar House & Prunier, მაგრამ არ დაგავიწყდეთ თან 25 000 დოლარის წაღება, რადგან ეს ირანული ხიზილალა ზუსტად ამდენი ღირს. ის მოთავსებულია 999 სინჯის სუფთა ოქროსაგან დამზადებულ ქილაში.

თეთრი ტრიუფელი

ტრიუფელი ყველაზე ძვირფასი საკვებია დედამიწაზე. ეს მისი მოყვანის განსაკუთრებული სირთულით აიხსნება. ტრიუფელს „სოკოების მეფესაც“ უწოდებენ. ყველაზე ძვირი ტრიუფელის სოკო 160 000 დოლარად გაიყიდა და ის იწონიდა 1,5 კილოგრამს. სოკო ჰონკონგელმა ინვესტორმა შეიძინა. ალბათ, მისგან მომზადებული სუპი განსაკუთრებული გემოსი იყო... ნამდვილად ღირდა მისი გასინჯვა.

წყარო: backraund.ge

ქვირის ჰოროსკოპი

ვერძი: შეიძლება გაიძულონ სერიოზული გადაწყვეტილების მიღება, რისთვისაც თქვენ მზად არ ხართ. არ აჩქარდეთ, ეცადეთ თავი აარიდოთ პირდაპირ პასუხს. კარგად გაანალიზეთ შემდგომი ქმედებები და მხოლოდ ამის მერე გადადგით ნაბიჯი.

კურო: მიენდეთ ინტუიციას და გარემოების მიხედვით იმოქმედეთ. თუმცა არ ღირს საღი აზრის დავიწყებაც და მთლიანად გრძნობების ნდობა.

ტყუპები: არასასურველია ფინანსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება. კარგად გაანალიზეთ შემოთავაზებული წინადადება და მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდით.

კირჩხიბი: სამსახურში რეალურად მოგეცემათ შანსი, რომ ყველას დაუმტკიცოთ თუ როგორი კარგი და შეუფასებელი თანამშრომელი ხართ. ნუ გაუშვებთ ხელიდან ასეთ შანსს.

ლომი: ყველაფერი ისე არ ხდება როგორც გვინდა და სურვილი გვაქვს. როცა ვფიქრობთ, რომ სადაცაა ოცნებას ავისრულებთ, სწორედ მაშინ ინგრევა ყველაფერი. ნუ ფიქრობთ, რომ რამე მუდმივია, ყველაფერი ჩვენს გარშემო წარმავალია.

ქალწული: ერთად ბევრი საქმე დაგატყდებათ. უმჯობესია, თუ ზოგიერთ მათგანზე თვითდაჯერებულად იტყვით უარს.

სასწორი: შეგიძლიათ შეცვალოთ ჩვეული ყოველდღიურობა და სტერეოტიპები. იყავით აქტიური და ნურაფერზე ეტყვით საკუთარ თავს უარს. წამოწყებული ნებისმიერი საქმე გამოგივათ.

მორიელი: სტაბილური სიტუაციაა, შესაძლებელია ბიზნესის გაფართოებაზეც კი მოგიწიოთ დაფიქრება. საგულდაგულოდ აწონეთ თქვენი სიტყვები, გეგმები და ქმედებები, მაშინ ყველაფერი გამოგივათ.

მშვილდოსანი: მზად იყავით მძიმე და დაძაბული სამუშაოსთვის. მუშაობის დროს ეცადეთ არაფერი გამოგეპაროთ, დაშვებული შეცდომა შესაძლებელია მომავალში ძვირად დაგიჯდეთ.

თხის რქა: მეგობრები და კოლეგები ბევრ საფიქრალს მოგიტანთ. ზოგიერთ თქვენგანს შესაძლებელია ახალი სამსახური შესთავაზონ, რაზეც უარის თქმა არ ღირს.

მერწყული: იგნორირებას ნუ გაუკეთებთ შესაძლებლობას რაიმე შეცვალოთ ცხოვრებაში. ეცადეთ, სწორი გადაწყვეტილება მიიღოთ, წარმატება თქვენს მხარესაა.

თევზები: ყველგან და ყველაფერში წარმატებას მიაღწევთ. დაისვენეთ და საღამო მეგობრებთან მხიარულად გაატარეთ, რაც თქვენზე წარუშლელ შთაბეჭდილებას დატო-

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ათეიზმი; 5. მაისი; 6. სპა; 8. თან; 9. მაინა; 11. ატლანტა.
შვეულად: 1. მერსი; 2. მზე; 3. აბაზანა; 4. იაპონია; 7. რაინი; 10. ოლე.



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ინფრასტრუქტურის მინისტრი **დავით ნარმანია სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

აკაკი ბობოხიძე

გუბაზ სანიკიძე

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

გუბაზ, გვითახრი რამე!

მარი კოხრეიძე

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. ჩირქის დაგროვება სხეულის რომელიმე ადგილზე; 5. ჰიგიენური დაწესებულება; 6. ანტილოპას სახეობა; 8. შეძახილი ვირისადმი; 9. მიმართვა ქალისადმი საფრანგეთში; 11. უბრწყინვალესი ვარსკვლავი არწივის თანავარსკვლავედში.

ვერტიკალურად: 1. სათამაშოდ ჩადებული თანხა; 2. რუმინული ფული ევროამდე; 3. პატივმოყვარეობა; 4. ზამთრის თვე; 7. ფრანგი მომღერალი მირეი ...; 10. ფრანგი ფიზიკოსი ალექს ტერეზ...